

ვიდეომანგნიტოფონის გამოყენება

ბოლო დროს ვიდეომანგნიტოფონი ხელმისაწვდომი და ჩვეულებრივი-ვი სასწავლო ფიზიკური რესურსი გახდა. ქვევით მოყვანილი რჩევები მის მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენებაში დაგეხმარებათ.

1. **წინასწარ გაეცანით ვიდეომანგნიტოფონს.** უმეტესობა მანგნიტოფონები ერთნაირია, მაგრამ ზოგი მათგანი განსხვავდება. მისთვის, რომ არ დაგხვდეთ "სიურპრიზი", სჯობს, წინასწარ გაეცნოთ გამოყენების ინსტრუქციას. ეს დაზოგავს თქვენ დროს და ნერვებს.
2. **განსაზღვრეთ ჩვენების დრო.** ნუ იმარჩიელებთ, რამდენ ხანს გრძელდება სიუჟეტი. უკეთესია, წინასწარ იცოდეთ ზუსტად რამდენი დრო გჭირდებათ ჩვენებისთვის. აგრეთვე, შეგიძლიათ შეწყვიტოთ ჩვენება და გამართოთ დისკუსია.
3. **გადაამოწმეთ კასეტა.** დარწმუნდით იმაში, რომ ხელთ გაქვთ სწორედ ის ჩანაწერი, რომელიც გჭირდებათ ახლა და არავის არ გადაუწერია მასზე თავისი მასალა.
4. **კარგად უნდა იცოდეთ ვიდეოჩანაწერის შინაარსი.** თუ თქვენ ადრე ნახეთ ეს კასეტა, არ ნიშნავს იმას, რომ კარგად გემახსოვრებათ მისი შინაარსი. ამიტომ მეცადინეობის წინ, კიდევ ერთხელ, გადახედეთ მას. უკეთესია, აწარმოოთ ჩანაწერები, სადაც აღნიშნავთ, თუ რაზე ვაკეთდება აქცენტი.
5. **წინასწარ გააჩერეთ ჩანაწერი საჭირო ადგილზე.** თუ თქვენ აუდიტორიაში დაიწყებთ ფირზე საჭირო ადგილის ძებნას, შეიძლება ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეთ.
6. **გახსოვდეთ ადამიანების დამოკიდებულება ტელევიზორთან მიმართებაში.** ჩვენ მიჩვეულები ვართ აღვიქვათ ტელევიზორი როგორც განტვირთვის საშუალება. ამიტომ, სჯობს, ჩვენების წინ მოახდინოთ სტუდენტების ყურადღების კონცენტრაცია ფირის სასწავლო მიზნებზე.
7. **გამოიყენეთ ვიდეო კონკრეტული მიზნებისათვის.** ჩამოაყალიბეთ, თუ რას გინდათ მიაღწიოთ ვიდეოჩანაწერის მეშვეობით, და გამოუცხადეთ სტუდენტებს ჩვენების წინ. ვიდეო გამოიყენეთ იმ შემთხვევებში, როდესაც სხვა საშუალებები არაეფექტურია. მაგალითად, ვიდეოს მეშვეობით შეიძლება გაამახვილოთ ყურადღება მეტყველების ტონალობაზე, მიმიკაზე ან არაფერბალურ ენაზე – ეს ყველაფერი უფრო მეტ შთაბეჭდილებას მოახდენს მაყურებელზე, ვიდრე დაბეჭდილი ტექსტი.
8. **გახსოვდეთ, რომ ყურადღების კონცენტრაციის უფრო ადვილი არ არის ხანგრძლივი!** ხშირია შემთხვევა, როდესაც უფრო სასარგებლოა ჩანაწერის დაწყობა რამდენიმე სიუჟეტად. ყველაზე სასარგებლო ღილაკია ვიდეოზე - "პაუზა". ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა ნაჩვენები მასალა უნდა იყოს განხილული.
9. **არ დაგავიწყდეთ შეფასების კითხვარში შეიტანოთ კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად სასარგებლო იყო ვიდეოს გამოყენება.**